ქართველი და პოლონელი ჯარისკაცების ბრძოლა თავისუფლებისთვის

რიტორიკაში სწერია ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო, ხო და გადავფურცლოთ.
არეული ივერიის დალაგება ზუსტად 100 წლის წინ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. 1917 წელს რუსეთის რევოლუციის შემდეგ, ქვეყანამ რკინის კედელი გაარღვია და თავისუფლება იგემა. თავისი უფლება იყო წითელი მეზობელის მარწუხებისგან თავის დაძვრენა და დამოუკიდებლობის მოპოვება.

დამოუკიდებელი საქართველოს ჯარისკაცები, თავიანთი ისტორიის მანძილზე ძირითადად ოკუპანტის რეჟიმს ებრძოდნენ. თურქ-სელჩუკებისგან გათავისუფლებული ქვეყანა მალევე მიხვდა, რომ რუსეთის სახით დიდი ჭირი სჭირდა. გეორგიევსკის ტრაქტატის მადლით, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა და მას სათავეში რუსი ეგზარქოსი ჩაუდგა.

მაშინდელი ქართველის ლოცვა-ვედრება ღმერთს მხოლოდ რუსულად ესმოდა. ტურფა მხარეში 100 წლიანი წითელი მმართველობა ერის აჯანყებამ 1918 წელს დაასრულა. „სევერნაია მიშკას“ სისხლიანი ტორები მხოლოდ საქართველოსკენ არ იყო მომართული. ჩრდილოელ დამპყრობელს ევროპაშიც ებრძოდნენ.

რუსებთან ბრძოლის ჩვენნაირ გზას პოლონელებიც გადიოდნენ და ამავე წელს ისინიც დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდნენ. ორივე ერმა რუსები, წითელ ფრონტზე თავისუფლების ძალით დაამარცხა. თუმცა საქართველოში სისხლით მოპოვებული თავისუფლება ძალიან ხანმოკლედ, მხოლოდ სამ წელს გაგრძელდა. გათავისუფლებულ ქვეყანას ბოლშევიკების აგრესიულმა ტალღამ მალევე გადაუარა. თავისუფლება ნაგემმა ქართულმა საზოგადოებამ ევროპაში თავის შეფარება გადაწყვიტა. რიგის ტრაქტატის ხელმოწერისა და ბოლშევიკებთან ბრძოლის შემდეგ ფრანგულ და ინგლისურ გემებზე, უცხოეთის დიპლომატიის წევრებთან ერთად, ქართველებიც ავიდნენ. ევროპაში ემიგრირებულ ქართველებს შორის, დაახლოებით ასამდე საკონტრაქტო ოფიცერიც იყო.

ქართველმა მიგრანტებმა, სხვა ევროპის ქვეყნების მსგავსად თავი მეგობარ პოლონეთსაც შეაფარეს. არც სამშობლოში დარჩენილი ქართველები შერიგებიან მონობას და 1924 წელს ისევ აჯანყდნენ, თუმცა წითელი არმიის რიცხოვნობამ და რეჟიმის სისასტიკემ აჯანყება რამდენიმე დღეში ჩაახშო.

ემიგრირებულ ოფიცრებს სჯეროდათ, რომ სამშობლოსთვის ბრძოლას პოლონეთის არმიაში გააგრძელებდნენ. ამ მიზანს ისიც ამყარებდა, რომ ორივე ქვეყანას საერთო მტერი-რუსეთი ჰყავდა. პოლონელები საქართველოს მიიჩნევდნენ, როგორც მნიშვნელოვან რგოლს აღმოსავლეთ პოლიტიკაში. ევროპელმა მეგობარმა ჩვენთან ჯერ დიპლომატიური, შემდეგ კი სამრეწველო-სავაჭრო კავშირის დამყარება დაიწყო. მათი მხრიდან ასევე მნიშვნელოვანი იყო სამხედრო დაინტერესებაც. პოლონურ-ქართული სამხედრო კავშირის გეგმებში, პოლონეთი ტექნიკით დახმარებასაც გეგმავდა, თუმცა საქართველოში 1921 წელს წითელი „პრავასლავნი“ სტუმარი შემოვიდა და ამ შემოჭრის შემდეგ პოლონეთს კავკასიაში გზა გადაეკეტა.ქართველმა ოფიცრებმა პოლონეთში სამხედრო გადამზადება გაიარეს და ყველა მაღალ თანამდებობებზე გადანაწილდა. საჰაერო და საზღვაო გარნიზონებშიც ნახავდით ქართველებს. ცოტა ხანში ოფიცრებს წარსულში დაბრუნება მოუხდათ.

1939 წელს ბოლშევიკებთან ბრძოლაში გამოწვრთნილი ქართველი ჯარისკაცები, გერმანელი და საბჭოთა აგრესორების პირისპირ აღმოჩნდნენ. ამავე წლის 17 სექტემბერს პოლონეთში შეჭრილი საბჭოთა არმია, განსაკუთრებით ქართველ საკონტრაქტო ოფიცრებს ეძებდა. ამის შემდეგ მათი ბედის შესახებ აღარავის სმენია. ასე სისხლის ფრად ღებავდა ყველა ფერს რუსული ჩექმა. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს გადაწყვეტილებით 1940 წლის 5 მარტს კატინის ტყეში ბევრი ქართველიც დახვრიტეს. პოლონეთმაც და საქართველომაც დაკარგეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა და მათზე მეფის რუსეთი გაბატონდა. გადასახლებისა და რუსული ტუნდრის სიცივეც, საკუთარ ტანზე იგრძნო ორივე ერმა.

პოლონეთი და საქართველო საუკუნის მანძილზე, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, თითქმის ერთნაირ გზას გადიოდნენ. არც ერთი ერი არ შეგუებია მონობას, მათ მხოლოდ ღირსება და თავისუფლება აერთიანებდათ. პოლონეთმა შეძლო და თავისი აღორძინებული ქვეყანა დაიცვა, თბილისი კი ცეცხლის კვამლმა დაფარა და როცა კვამლი გაიფანტა ნამგლისა და ურის წითელი დროშა გამოჩნდა. 1989 წელს პოლონეთი საბოლოოდ გაევროპელდა და კომუნიზმს მოერია. ჩვენი დამოუკიდებლობა თითქმის ჩვენი თაობის ტოლია. 29 წლის თავისუფალი საქართველო, რომელსაც სხეულზე აგვისტოს ნაიარევი აქვს, ახალგაზრული რიხით დღესაც ამტკიცებს. ქართველი ჯარისკაცები თავს უფრო მოქნილად არა საბჭოთა ტექნიკიდან სროლის დროს არამედ, NATO-ს სამხედრო გადამზადებისას გრძნობენ. პოლონელებთან განსხვავებული ანბანისა

და ჟღერადობის მიუხედავად, საერთო ენას, საერთო მტრის წინაღმდეგ ბრძოლაში დღესაც ვპოულობთ.

29 წლის მწვანე ყურსასმენიან საქართველოს, თავისი დასავლელი მეგობრების იმედად ისევ სჯერა რომ კარასინი, საბჭოთა დენდრო პარკის აყვავებას მის ტერიტორიაზე ვერ შეძლებს.

ავტორი:ნეკა ბერძენიშვილი